ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – რ. შ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 19.11.2018 წ

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 161/18

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ადვოკატი პ. ბ. /სიითი #/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ პ. ბ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორი პოზიცია:**

1.1 2018 წლის 04 ნოემბერს ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა რ. შ.-მ და მოითხოვა ადვოკატ პ. ბ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორის განცხადებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, რის საფუძველზეც დაყადაღდა შპს „Batumi Real Estate Agency"-ის მფლობელობაში არსებული 10 000 ცალი საბურავი, რომლის გადაცემა დაცულ საცავში შენახვის მიზნით უნდა განხორციელებულიყო საჩივრის ავტორის შვილის - გ. წ.-ის ხარჯებით, აღსრულების ეროვნული ბიუროს ჩართულობით.

1.2 ადვოკატი პ. ბ. მოცემულ საქმეზე საადვოკატო მომსახურებას გ. წ.-ის მოწინააღმდეგე მხარეს უწევდა. პ. ბ.-მ აღმასრულებელს ხელი შეუშალა აღსრულების განხორციელებაში, აღმასრულებელმა ოქმის საფუძველზე მიმართა ბათუმის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მე-7 განყოფილებას დახმარებისთვის. ოქმის საფუძველზე, ადგილზე მივიდა უბნის ინსპექტორ-გამომძიებელი სულხან ბერიძე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ადვოკატმა პ. ბ.-მ მაინც არ მისცა მათ აღსრულების განხორციელების შესაძლებლობა.

1.3 2018 წლის 02 ნოემბერს, აღმასრულებელთან ერთად შემთხვევის ადგილზე მისულს, ადვოკატმა პ. ბ.-მ საჩივრის ავტორს შეაგინა და შემდეგ ხელით წამოიწია მისკენ.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის 02 ნოემბრის ინციდენტის დროს მან აიღო საბურავები, რა დროსაც პ. ბ.-მ წინააღმდეგობა გაუწია, კერძოდ, მოუჭირა მკლავზე, რის შედეგადაც მკლავი დაუზიანდა - „ჩაუშავდა“ და ამაზე შესაბამისი ექსპერტიზაც ჩაუტარდა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული ინციდენტის დროს, პ. ბ.-ის მიზანი იყო საჩივრის ავტორისთვის მისი შვილების თანდასწრებით შეურაცხყოფის მიყენება და ამით მხარეებს შორის დავის წარმოშობა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ პ. ბ.-ის 2018 წლის 13 დეკემბერს წარმოდგენილი ახსნა-განმარტების თანახმად, რ. შ. წარმოადგენს მისი მოწინააღმდეგე მხარის - გ. წ.-ის დედას და ადვოკატს რ. შ.-სთან არანაირი სამართლებრივი ურთიერთობა არ აკავშირებს და ის არ წარმოადგენს მოცემულ საქმეში მხარეს.

2.2 რ. შ.მ თავის საჩივარში მოწმედ დაასახელა მხოლოდ თავისი ორი შვილი და მათი ერთი მეგობარი, მაშინ როდესაც ინციდენტის თვითმხილველი იყო სამი აღმასრულებელი და ათამდე სხვა პიროვნებაც. ადვოკატის განმარტებით, ძალადობის ფაქტს, რომ ადგილი არ ჰქონია ეს ვიდეომასალაზეც ჩანს და მოწმეებიც დაადასტურებენ.

2.3 სადავო ქონება -10 000 საბურავი, ადვოკატ პ. ბ.-ის კლიენტმა - მ. ფ.-მ შეიძინა აგვისტოს თვეში. მ. ფ. არის შპს „ბიზნეს ტრანსის“ 100%-იანი წილის მფლობელი და მასსა და ადვოკატ პ. ბ.-ს შორის არსებული ზეპირი შეთანხმების თანახმად, საქმის მ. ფ.-სათვის სასარგებლო შედეგით დამთავრების შემთხვევაში, სადავო ქონების 20%-იანი წილის მფლობელი გახდება ადვოკატი პ. ბ..

2.4 ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის 02 ნოემბერს იგი არ მოქმედებდა როგორც ადვოკატი, არამედ მოცემულ ქონებასთან დაკავშირებით მას გააჩნდა ქონებრივი ინტერესი და სააღსრულებო წარმოებას მხოლოდ კერძო პირის სტატუსით ესწრებოდა. ადვოკატის განცხადებით, საადვოკატო უფლებამოსილების განხორციელების შემთხვევაში, იგი მსგავსად არ მოიქცეოდა და შესაძლოა, სააღსრულებო პროცედურის განხორციელებას საერთოდ არც დასწრებოდა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2018 წლის 02 ნოემბერს პოლიციის მისვლამდე, ადგილზე მივიდა რ. შ. მუშებთან ერთად, მოჰკიდა ხელი საბურავს, რაც ადვოკატმა პ. ბ.-მ გააგდებინა, თუმცა კონკრეტულად ამ ფაქტის შემდეგ დაეცა, თუ არა რ. შ. არ ახსოვს. ადვოკატის განმარტებით, იგი იდგა თავისი კლიენტის მფლობელობაში არსებულ საბურავებთან და მას რ. შ.-ს მიმართ ძალისმიერი მეთოდები არ გამოუყენებია.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:

3.1 საპროცესო კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადვოკატი მოწინააღმდეგე მხარეს ფიზიკურად არ უნდა უპირისპირდებოდეს. ადვოკატი უნდა აცნობიერებდეს, რომ მან საკუთარი პოზიცია კანონიერი ხერხების გამოყენებით უნდა დაიცვას და არა პროცესის მონაწილესთან ფიზიკური შეხებით.

3.2 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატის ქმედებაში აღმოაჩინა შესაძლო დარღვევა და მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება, რომ ადვოკატმა პ. ბ.-მ საჩივრის ავტორს მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა, ადვოკატის მიერ დარღვეული იქნება „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 5(გ) და 6.1 მუხლები და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლი. შესაბამისად, კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ პ. ბ.-ის მიმართ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

II სარეზოლუციო ნაწილი

გამომდინარე იქიდან, რომ დისციპლინური საქმის განხილვის ეტაპზე 2019 წლის 24 ოქტომბერს საჩივრის ავტორმა წარმოადგინა განცხადება იმის თაობაზე, რომ ადვოკატ პ. ბ.-ის მიმართ პრეტენზია აღარ გააჩნია და ითხოვს საქმისწარმოების შეწყვეტას, ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 22.1 „ბ“ მუხლით და დაადგინა:

1. დისციპლინურ საქმეზე #161/18 ადვოკატ პ. ბ.-ის მიმართ /სიითი #/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/